საქართველოს
კონკურენციის
ეროვნული სააგენტო

N 02/2797
17/10/2023

2797-01-2-202310171338

ეკატერინე კვარაცხელიას (პ/ნ 01001078251)
მის: ქ.თბილისი, ლიბანის ქ. N5, ბ.6

ელ-ფოსტა: resaleori@gmail.com

ქალბატონო ეკატერინე

გაცნობებთ, რომ სსიპ - საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს (შემდგომში - სააგენტო) თავმჯდომარის 2023 წლის 12 ოქტომბრის №04/709 ბრძანების საფუძველზე, დაიწყო საქმის შესწავლა მოვაჭრე - ეკატერინე კვარაცხელიას (პ/ნ 01001078251, შემდგომში - მოვაჭრე) მიერ „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) შესაძლო დარღვევის თაობაზე.

სსიპ - საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 29 სექტემბრის №45 ბრძანებით დამტკიცებული „საქმის შესწავლის წესისა და პროცედურის“ (შემდგომში - პროცედურა) მე-8 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, მოვაჭრეს უფლება აქვს:

ა)ჰყავდეს წარმომადგენელი;

ბ) სააგენტოს წარუდგინოს პოზიცია, ინფორმაცია ან/და მტკიცებულებები საქმის შესწავლის ნებისმიერ ეტაპზე;

გ) გაეცნოს საქმის მასალებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 99-ე მუხლით დადგენილი წესით;

დ) მოითხოვოს ინფორმაციის/მტკიცებულებების წარდგენის ვადის გახანგრძლივება;

ე) განაცხადოს აცილება სააგენტოს თანამშრომლის მიმართ.

აღსანიშნავია, რომ პროცედურის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, მოვაჭრეს უფლება აქვს, აიღოს პირობითი ვალდებულებები კანონის სავარაუდო დარღვევის აღმოსაფხვრელად (შემდგომ – პირობითი ვალდებულებები).

კანონის 33-ე მუხლის მე-8 პუნქტის მიხედვით, საქმის შესწავლის დასრულებამდე სააგენტო განიხილავს კანონის სავარაუდო დარღვევის აღმოსაფხვრელად მოვაჭრის მიერ შეთავაზებულ პირობით ვალდებულებებს. თუ სააგენტო მიიჩნევს, რომ მოვაჭრის მიერ ნაკისრი პირობითი ვალდებულებების შესრულების შედეგად აღარ იარსებებს კანონის სავარაუდო დარღვევის რისკი, იგი დაეთანხმება შეთავაზებულ პირობით ვალდებულებებს და საქმის შესწავლას კანონის სავარაუდო დარღვევის ფაქტის შეფასების გარეშე დაასრულებს.

ზემოხსენებულ შემთხვევაში, სააგენტო მოვაჭრესთან დებს წერილობით შეთანხმებას ვალდებულებების შესრულების პირობებისა და ვადის შესახებ. ამის თაობაზე ინფორმაცია სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე ქვეყნდება.

პროცედურის მე-7 მუხლის საფუძველზე სააგენტო საქმეს შეისწავლის საქმის შესწავლის დაწყების შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან 1 თვის ვადაში. საქმის შესწავლა, მისი მნიშვნელობისა და სირთულის გათვალისწინებით, შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 3 თვისა, რის შესახებაც ეცნობება როგორც განმცხადებელს, ასევე მოვაჭრეს

პროცედურის მე-17 მუხლის შესაბამისად საქმის შესწავლის შედეგად, სააგენტო წერილობით იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

ა) მომხმარებელთა ჯგუფის უფლების დარღვევის დადასტურების შესახებ;

ბ) მომხმარებელთა ჯგუფის უფლების დარღვევის დადასტურებაზე უარის თქმის შესახებ;

გ) მოვაჭრის მიერ პირობითი ვალდებულებების აღების შემთხვევაში დარღვევის ფაქტის შეფასების გარეშე საქმის შესწავლის დასრულების შესახებ.

კანონის 29-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სააგენტო საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების განსახორციელებლად ატარებს შესაბამის ღონისძიებებს, მათ შორის:

- შეისწავლის მომხმარებლის ამ კანონით დადგენილი უფლების შესაძლო დარღვევის ისეთ ფაქტს, რომელმაც გამოიწვია ან შესაძლოა გამოიწვიოს მომხმარებელთა ჯგუფის უფლების დარღვევა;
- საქმის შესწავლის მიზნით განმცხადებლისგან ან/და მოვაჭრისგან გამოითხოვს ინფორმაციას (მათ შორის, კონფიდენციალურ ინფორმაციას), რომელიც სააგენტოს შესაბამისი უფლებამოსილების განსახორციელებლად სჭირდება;

- უფლებამოსილია საქმესთან დაკავშირებული ინფორმაციის მიუღებლობის შემთხვევაში სასამართლოს წარუდგინოს შუამდგომლობა მოვაჭრის მიერ შესაბამისი ინფორმაციის წარდგენის შესახებ;
- იწვევს მხარეებს/დაინტერესებულ პირებს ახსნა-განმარტებების მისაღებად.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, დანართის სახით გიგზავნით სააგენტოს თავმჯდომარის 2023 წლის 12 ოქტომბრის №04/709 ბრძანებას, ნიკოლოზ აბაშიძის განცხადებას და გთხოვთ, „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე, 29-ე, 30-ე, 32-ე მუხლებისა და სსიპ - საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 29 სექტემბრის №45 ბრძანებით დამტკიცებული „საქმის შესწავლის წესისა და პროცედურის“ მე-5 მუხლის პირველი, მე-2 და მე-6 პუნქტების საფუძველზე, სააგენტოს წერილის ჩაბარებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში, მოგვაწოდოთ განცხადებაში აღწერილ გარემოებებთან დაკავშირებით ინფორმაცია და მოვაჭრე ეკატერინე კვარაცხელიას (ინსტაგრამ გვერდ resales.originals-ის) სავაჭრო პოლიტიკის (მომხმარებელთან ურთიერთობისათვის განკუთვნილი წესებისა პირობების ერთობლიობა) შესახებ შემდეგი ინფორმაცია:

- მომხმარებლისთვის ინფორმაციის მიწოდების დადგენილი სტანდარტის;
- ხელშეკრულებაზე უარის თქმის შემთხვევაში თანხის დაბრუნების პირობების;
- ნაკლის მქონე ნივთის შეცვლა/დაბრუნების;
- დისტანციურად ვაჭრობის პირობების თაობაზე.

პატივისცემით,

დანართი: 5 (ხუთი) ფურცელი.

სერგო სანიკიძე

დეპარტამენტის უფროსი
მომხმარებლის უფლებების დაცვის დეპარტამენტი